დანართი

2023 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია 17 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა იყო 101. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ძირითადი თემატიკა იყო:

- ასპინძის მუნიციპალიტეტის იდუმალის და დამალის თემებში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ, საკრებულოში წარმოდგენილი პეტიციების ხელმომწერთა 20%-ის სისწორის გადამოწმების მიზნით საქმისწარმოების მასალების მიწოდების შესახებ.
- ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2020-2023 წლებში (2023 წლის 30 მაისამდე) ავტომობილების მომსახურეობის რაოდენობისა და განპიროვნებულების შესახებ წლების მიხედვით, ჩაშლილად.
- იმ თანამშრომლების სრული სიის შესახებ, რომელზსაც ავტომობილები პირადად ემსახურება.
- 2020-2023 (2023 წლის 30 მაისამდე) წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული ავტომობილების მოვლა-შენახვაში გამოყოფილი თანხის ოდენობის შესახებ.
- 2020-2023 (2023 წლის 30 მაისამდე) წლებში ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრებაში არსებულ ავტომობილებზე დახარჯული საწვავისა და გამოყოფილი ლარის ოდენობის თაობაზე.
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების რაოდენობის შესახებ (თითოეულის გვარი-სახელის, თანამდებობის დაკავების არჩევის თარიღის, სამართლებრივი საფუძვლის, ამჟამინდელი თანამდებობრივი სარგოს ოდენობისა (საშემოსავლო და კანონით დადგენილი სხვა გადასახადების ჩათვლით)და ბიოგრაფიების მიწოდების თაობაზე.
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი/თანაშემწეების რაოდენობის შესახებ და რა საკითხებში (პოზიციისა და საკითხების მითითებით).
- მრჩევლებისთვის მუნიციპალური ბიუჯეტიდან 2022 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გადახდილი ხელფასის (მათ შორის, პრემია-დანამატის) ჯამური ოდენობის (საშემოსავლო და კანონით დადგენილი სხვა გადასახადების ჩათვლით) შესახებ.
- თანაშემწეებისთვის მუნიციპალური ბიუჯეტიდან 2022 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გადახდილი ხელფასების (მათ შორის, პრემია-დანამატის) ჯამური ოდენობის (საშემოსავლო და კანონით დადგენილი სხვა გადასახადების ჩათვლით) შესახებ.
- მრჩევლის ან/და თანაშემწის გვარი-სახელის (პოზიციის მითითებით), განათლებისა და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, თითოეული მრჩევლის ან/და თანაშემწის განათლების დონე, შესაბამისი საფეხურის მითითებით (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორანტი, სხვა); მრჩევლად ან/და თანაშემწედ დანიშვნის დრო; სამუშაო გამოცდილება/სტაჟი; სამუშაო გამოცდილების სფერო; თითოეული მრჩევლის ან/და თანაშემწის სამუშაო გრაფიკის შესახებ (მათ შორის, რომელიმეს ხომ არ ევალება დისტანციურად ან არასრული სამუშაო დატვირთვით მუშაობა).

- თითოეული მრჩევლის ან/და თანაშემწის ამჟამინდელი ანაზღაურების (საშემოსავლო და კანონით დადგენილი სხვა გადასახადების 2022 წელს (იანვარი-თებერვალი) საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების შესახებ.
- რამდენი სპეციალისტი/კონსულტანტი/ექსპერტი ჰყავდა/ჰყავს მოწვეული საკრებულოს კომისიებში 2022 წლის 1-ელი იანვრიდან 2023 წლის 28 თებერვლის ჩათვლით და რამდენია მათთვის გადახდილი ხელფასის (მათ შორის, პრემია-დანამატის) ჯამური ოდენობა (საშემოსავლო და კანონით დადგენილი სხვა გადასახადების ჩათვლით); თითოეული სპეციალისტი / კონსულტანტი / ექსპერტი საკრებულოს რომელ კომისიას რა საკითხებში უწევდა/უწევს დახმარებას; თითოეული სპეციალისტის ან/და ექსპერტის განათლების დონე, შესაბამისი საფეხურის მითითებით (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორანტი, სხვა); სამუშაო გამოცდილება/სტაჟი; სამუშაო გამოცდილების სფერო; თითოეული სპეციალისტის ან/და ექსპერტის ანაზღაურება (საშემოსავლო და კანონით დადგენილი სხვა გადასახადების ჩათვლით).
- საჯარო ინფორმაციის გაცემის დროისთვის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების რაოდენობის შესახებ.
- საკრებულოს რამდენი წევრი არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში.
- მოქმედ საკრებულოში რეგისტრირებული ფრაქციათა რაოდენობის შესახებ (თითოეული ფრაქციის რეგისტრაციის დრო, ფრაქციის სახელწოდება, ფრაქციის წევრთა რაოდენობა; ფრაქციის თითოეული წევრი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად რომელი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არის არჩეული; თითოეული ფრაქციის თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის/მოადგილეების რაოდენობა, ვინაობა).
- მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ (მოქმედ საკრებულოში) 2023 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, ჯამურად გაცემული თანხის ოდენობის თაობაზე (ხელფასის, პრემიის ან/და დანამატის სახით (საშემოსავლო და კანონით დადგენილი სხვა გადასახადების ჩათვლით).
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეებსა და მოადგილეებზე გაცემული ხელფასების შესახებ (პერსონალურად მითითება თანამდებობის პირის ვინაობის, დაკავებული თანამდებობის დასახელების, ხელფასის, პრემიის (დანამატის) ოდენობის, გაცემის თარიღის, პრემიის (დანამატის) გაცემის სამართლებრივი საფუძვლის შესახებ.
- მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ (მოქმედ საკრებულოში) 2023 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, ხელფასის, პრემიის (დანამატის) გარდა, ჯამურად გაცემული თანხის ოდენობის თაობაზე -ფრაქციებისთვის და რა დანიშნულებით (მათ შორის, მითითებულ პერიოდში, წლების მიხედვით, თითოეულ ფრაქციას რა ოდენობის თანხა გამოეყო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და რისთვის) (მიზნობრიობის მითითებით - საწვავის შეძენა, მივლინების ხარჯების ანაზღაურება, საკანცელარიო საქონლის შეძენა, საკომუნიკაციო ხარჯი და ა.შ.)
- მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საკრებულოს წევრთა გაერთიანებას რამდენ შემთხვევაში ეთქვა უარი ფრაქციად რეგისტრაციაზე;
- ფრაქციად რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების დოკუმენტის მიწოდების შესახებ.
- რომელი ფრაქცია/ფრაქციები გაუქმდა, თითოეულ შემთხვევაში როდის და რა მიზეზით.
- თითოეული (ამჟამად რეგისტრირებული ან/და გაუქმებული) ფრაქციის მიერ მომზადებული და საკრებულოსთვის განსახილველად წარდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მიწოდების თაობაზე.
- ფრაქციის/ფრაქციების მიერ წარდგენილი მოთხოვნა - დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

- თითოეული ფრაქციის მიერ საკრებულოს არჩევით თანამდებობებზე კანდიდატების წარდგენის შესახებ ინფორმაცია.
- საკრებულოს მიერ შექმნილი ორგანოებისა და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირებისთვის ფრაქციის მიერ გაგზავნილი შეკითხვები და მიღებული პასუხები.
- თითოეული ფრაქციის მიერ მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ფრაქციის თვალსაზრისის და მიმართვების შესახებ.
- თითოეული ფრაქციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, სხდომაზე განსახილველ საკითხზე ფრაქციის ერთიანი პოზიციის გამოხატვისა და სხდომაზე მომხსენებლის დანიშვნის შესახებ.
- რომელი ფრაქციის მიერ იქნა მოწვეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა და რა საკითხებზე, დოკუმენტების მიწოდების თაობაზე.
- რამდენი ფრაქცია იყო რეგისტრირებული ადგილობრივი თვითმმართველობის 2014 წლის 15 ივნისის შედეგად არჩეული საკრებულოში (თითოეული ფრაქციის რეგისტრაციის დრო, ფრაქციის სახელწოდება, თითოეული ფრაქციის თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის/მოადგილეების რაოდენობა, ვინაობა; ჯამურად რა ოდენობის თანხა იქნა გაცემული ხელფასის, პრემიის ან/და დანამატის სახით (საშემოსავლო და კანონით დადგენილი სხვა გადასახადების ჩათვლით) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეებსა და მოადგილეებზე; ხელფასის, პრემიის (დანამატის) გარდა, ჯამურად რა ოდენობის თანხა იქნა გაცემული ფრაქციებისთვის და რა დანიშნულებით).
- თითოეული ფრაქციის მიერ მომზადებული და საკრებულოსთვის განსახილველად წარდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მიწოდების თაობაზე.
- ადგილობრივი თვითმმართველობის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების შედეგად არჩეულ საკრებულოში რეგისტრირებული ფრაქციათა რაოდენობის შესახებ.(თითოეული ფრაქციის რეგისტრაციის დრო, ფრაქციის სახელწოდება, თითოეული ფრაქციის თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის/მოადგილეების რაოდენობა, ვინაობა; ჯამურად რა ოდენობის თანხა იქნა გაცემული ხელფასის, პრემიის ან/და დანამატის სახით (საშემოსავლო და კანონით დადგენილი სხვა გადასახადების ჩათვლით) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეებსა და მოადგილეებზე; ხელფასის, პრემიის (დანამატის) გარდა, ჯამურად რა ოდენობის თანხა იქნა გაცემული ფრაქციებისთვის და რა დანიშნულებით.
- საკრებულოში სექსუალური შევიწროების კუთხით შემთხვევათა რაოდენობის მიწოდების შესახებ;
- საკრებულოს მიერ მიღებულ შრომის შინაგანაწესში გაწერილი ორგანიზაციის პოლიტიკა თანამშრომლებს შორის დისკრიმინაციის, ნებისმიერი ფორმით ძალადობის და მათ შორის სექსუალური შევიწროების დაუშვებლობის შესახებ;
- მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტის მოთხოვნის შესახებ (2016-2022 წწ.);
- საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის შესახებ, რომლითაც დადგენილია შინაური ცხოველების ყოლის წესები და განსაზღვრულია თუ არა უპატრონო ცხოველების მიმართ გასატარებელი ღონისძიებები (სამართლებრივი აქტის ასლის მიწოდება).
- მუნიციპალიტეტის რომელი სამსახურის, იურიდიული პირის ან კანონმდებლობით დადგენილი წესით საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირის უფლებამოსილებას განეკუთვნება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი ცხოველების და მათი პოპულაციების მართვისა და კონტროლის ორგანიზება (შესაბამისი სამსახურის, იურიდიული პირის, სხვა უფლებამოსილი პირის, უფლებამოსილების განმსაზღვრელი დოკუმენტი (დებულების, წესდების, ხელშეკრულების მიწოდება).

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური თავშესაფარის, ან მუნიციპალიტეტი სარგებლობის ცხოველთა თავშესაფრის მომსახურების არსებობის შესახებ(თავშესაფრის უფლებამოსილებათა განმსაზღვრელი დოკუმენტის ასლის და საკონტაქტო მონაცემების იწოდების შესახებ).
- მუნიციპალიტეტის მიერ (მის მიერ შექმნილი იურიდიული პირის), უპატრონო ცხოველების მიმართ გასატარებელი მომსახურების შესყიდვის და შესაბამისი ღონისძიებების, შესყიდული მომსახურების შესახებ (ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაცია და ელექტრონული ტენდერის განცხადების ნომერი).
- მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტში, გათვალისწინებულია თუ არა უპატრონო ცხოველების მიმართ გასატარებელი ღონისძიებების დაფინანსება და რა ღონისძიებები ხორციელდება აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში.
- ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესახებ მონაცემები 2021-2022 წლებში, ჩაშლილი შემდეგი კლასიფიკაციით: - დასახელება -წლიური გეგმა -შესრულება.
- 2022 წლის 01 იანვრიდან დღემდე მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმის შესახებ.
- 2022 წლის 01 იანვრიდან დღემდე მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მიერ ჩატარებული თემატური კვლევების თაობაზე.
- 2022 წლის 01 იანვრიდან დღემდე მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მიერ ჩატარებული სხდომის ოქმების მიწოდების შესახებ.
- ასპინძის მუნიციპალიტეტის გენდარული თანასწორობის საბჭოს მიერ ჩატარებული სხდომების რაოდენობის, მასზე განხილული საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ;
- 2022 წლის 01 იანვრიდან დღემდე მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს ანგარიშები განხორციელებული საქმიანობის შესახებ.
- 2021, 2022 წლის ბიუჯეტები და 2023 წლის ბიუჯეტის დაზუსტებული ვერსიის შესახებ.
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის (კოდიფიცირებული) მოთხოვნის შესახებ.
- მუნიციპალიტეტის მერიის დებულების (კოდიფიცირებული)მოთხოვნის შესახებ.
- 2022 წლის 1 მაისიდან 2023 წლის 1 მაისამდე დარეგისტრირებული პეტიციების შესახებ ინფორმაცია (საკითხი, ინიციატორი).
- 2022 წლის 1 მაისიდან 2023 წლის 1 მაისამდე, პეტიციის განხილვის პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია: სამართლებრივი აქტები, წერილები და სხვა.
- 2022 წლის 1 მაისიდან 2023 წლის 1 მაისამდე , მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილებასთან დაკავშირებით ჩატარებული საჯარო შეხვედრების ოქმების მოთხოვნის შესახებ.
- ნორმატიული ან/და ინდივიდუალური აქტის, აგრეთვე ოქმის, ან ნებისმიერი დოკუმენტის შესახებ, რომელიც ადასტურებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2022 წლის 1 მაისიდან 2023 წლის 1 მაისამდე პერიოდში მოქალაქეთა დამატებითი მონაწილეობის ფორმის გამოყენებას.
- 2022 წლის საკრებულოს წევრების გაწეული მუშაობის ანგარიშების წერილობითი ვერსიებისმოთხოვნის შესახებ.
- 2022 წლის საკრებულოს წევრების გაწეული მუშაობის ანგარიშების საჯარო მოსმენის ოქმის მოთხოვნის თაობაზე.
- 2022 წლის საკრებულოს წევრების გაწეული მუშაობის ანგარიშების საჯარო მოსმენის გამართვის შესახებ, წინასწარი ინფორმირების დამადასტურებელი ბმულების, ნიუსების, საინფორმაციო რესურსების მითითებით.
- საკრებულოს მიერ დამტკიცებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (კოდიფიცირებული) მიწოდების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მონაწილეობითი ბიუჯეტის (სამოქალაქო ბიუჯეტის) განხორციელების წესს, განხორციელების

ინსტიტუციურ მექანიზმებს და მათ შემადგენლობას (თუ ამ მიზნით შექმნილია საკონსულტაციო ორგანო მისი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტი).

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების და შემადგენლობის შესახებ.
- საკრებულოს აპარატის კანცელარიაში პეტიციის წესით შემოსული წერილების რაოდენობის შესახებ;
- ასპინძის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი დასახლებების ჩამონათვალის, კატეგორიის (სოფელი, დაბა, ქალაქი) მითითებების შესახებ.
- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ჩამონათვალი, მათში შემავალი დასახლებების მითითების შესახებ.
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული აქტის ასლის მიწოდების თაობაზე, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით ადგენს მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ ერთეულებს, მათ სახელდებას და საზღვრებს.

2023 წელს შემოსული 17 განცხადებიდან, მოთხოვნის შესაბამისად, გაცემულია ყველაზე პასუხი.